პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით

პარასკევი, 6 ივნისი 1924 წ.

წელიწადი მეოთხე

ფასი 5 კაპ. ჩერ.

# წითელი არმიელი

№ 517 ქ. მ. დ. პოლიტ-გან-ის ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ჯორჯიაშვილის ქუჩა № 8. საველე ელს. 85.

განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვო ნეც' ნომპარელის სტრიქონი სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლო 1 საათამდე

## სამხედროების საყურადღებოდ

ვირას, 8 ივნისს, დილის 10 საათზე გაზ. „წითელ-არმიელის“ რედაქციის შენობაში (ჯორჯიაშვილის ქუჩა, ყოფ. ბარიატინსკის № 8) **ხელმეორედ** დანიშნულია ქართულ მსროლელ დივიზიის თბილისის გარნიზონში მყოფ ნაწილების

### სამხედროების კრება.

საკითხების დიდი მნიშვნელობის გამო დასწრება ყველა სამხედროს და პარტკორის აუცილებელია.

გაზ. „წითელ-არმიელი“-ს რედაქცია.

## წითელი ჯარის კომანდირი პოლიტიკურად მომზადებული უნდა იყოს.

ამ დღეებში დამთავრდა უფშემადგენლობის წმენდა ქართულ მსროლელ დივიზიაში.

წმენდა მეტის მეტად ნაყოფიერი გამოდგა.

მან ბევრი საყურადღებო ცნობები მოგვცა ჩვენი კომანდირების შესახებ.

საერთოდ და მთლიანად წმენდამ დამაკმაყოფილებელი შედეგები გამოიღო.

მაგრამ მან გამოაშკარავა მრავალი უარყოფითი მხარეებიც. აქ ჩვენ შევჩერდებით მხოლოდ მთავარზე. როგორც ირკვევა ჩვენი უფროსთა შემადგენლობის უმეტესი პროცენტი პოლიტიკურად განუვითარებელი და მოუმზადებელია.

ეს უდიდესი უარყოფითი მოვლენაა ჩვენი ჯარის ცხოვრებაში. წითელი კომანდირი—პოლიტიკურად განუვითარებული—ეს დაუშვებელია წითელ ჯარში.

კომანდირი წითელ-არმიელს ასწავლიდეს უნდა არა მარტო სამხედრო ცოდნას, არამედ ის ღირსეული ხელმძღვანელი უნდა იყოს წითელ-არმიელის პოლიტიკურად გათვითცნობიერების საქმეში.

როგორ შეუძლია პოლიტიკურად მოუმზადებელ კომანდირს აღზარდოს მტკიცე, შეურყეველი რევოლიუციონერი მეომარი ახლად მოსულ ახალგაზრდობისაგან!

რასაკვირველია, ასეთი დავალების შესრულებას ის ვერ შესძლებს, რაც დააბრკოლებს ჩვენს მუშაობას.

ამისათვის კი ამ გარემოებას აქედანვე უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება ჩვენი პარტორგანოების მხრივ.

პოლიტიკური უვიცობას უფშემადგენლობის შორის სასწრაფოდ უნდა მოეღოს ბოლო.

მართალია, დღემდიც სწარმოებდა მუშაობა ჩვენს დივიზიაში ამ მხრივ, მაგრამ ეს ვერ იყო თავის სიმაღლეზე დაყენებული, რაც ზემოხსენებულ წმენდამ დაამტკიცა.

ეხლა კი, დაუყონებლივ უნდა გადავდგათ ნაბიჯები, რათა ეს ანორმალობა სულ მოკლე ხანში აღმოფხვრილი იქნას ჩვენი ცხოვრებიდან.

ამ მხრივ არ კმარა მარტო პოლიტორგანოების მუშაობა, საჭიროა თვით საკომანდო შემადგენლობაც მხურვალეთ შეხვდეს ამ საქმეს და ენერგიულად შეუდგეს პოლიტიკური ცოდნის შეძენას.

პოლიტიკურად უვიცი კომანდირი—ცუდი კომანდირია.

ეს დებულება მუდამ უნდა ახსოვდეს ჩვენს უფშემადგენლობას.

ჩვენ სრულ იმედს გამოვსთქვამთ, რომ ახლო მომავალში ჩვენ რიგებში არ იქნება არც ერთი პოლიტიკურად უვიცი და მოუმზადებელი კომანდირი.

## ინგლის საბჭოთა კონფერენცია.

### ინგლისის პრესა კონფერენციის შესახებ

#### გლაგვი იარაღი.

ინგლისის რეაქციონური გაზეთი „მორინგპოსტი“ თავის მოწინავეში დასცინის მაკდონალდს, რომელმაც იცნო საბჭოთა მთავრობა ყოველგვარ კომპესაციის გარეშე და მიიღო საბჭოთა დელეგაცია ისე, რომ არ მოუთხოვია მათთვის რწმუნების საბუთები. „მან ვერ მოიფიქრა—სწერს გაზეთი—რომ ბოლშევიკებს შეთანხმება კი არ უნდა, არამედ სესხი.“

„დეილი ტელეგრაფი“ (ზომიერი—კონსერვატიული ორგანო) ადარებს საბჭოთა კავშირს ოსმალეთს და აღნიშნავს, რომ სანამ საბჭოთა მთავრობა არ განსაზღვრავს სახელმწიფოს სპეციალურ შემოსავალს ვალების გადასახდელად და არ ჩააბარებს შემოსავლის საქმეს უცხოეთის მისიას, მანამდი კონფერენცია იქნება დამარცხების საფრთხის ქვეშ.

#### კონფერენციის ჩაშლა საზარალოა ინგლისისათვის.

ლიბერალების ოფიციალური გაზეთი „დეილი ნიუზ“-ი სწერს, რომ კონფერენციის დაშლით იზარალებს არა მარტო სსსრკ: მესაკუთრეები საბოლოოდ დაკარგავენ ვალების აღების იმედს, გაძლიერდება ბრიტანეთის საწინააღმდეგო პროპაგანდა და საბჭოთა ბაზარი დაიკეტება ინგლისისათვის.

„დეილი ნიუზის“ აზრით საბჭოთა კავშირის წესწყობილებაში უნდა მოხდეს ზოგიერთი ცვლილებები, მაგრამ ეს იქნება ბუნებრივი ცვლილებები, გამოწვეული თვით სახელმწიფოს შეხედულებით და არა კონტრევოლიუციონერთა ცდებით, რომელსაც დახმარებას უწევს უცხოეთის ოქრო, ან და არა უცხოეთის გაზეთების გაცხარებული მოწინავეებით, რომლებიც ნაყოფია რუსეთიდან გაქცეულთა მუშაობისა.

#### პლენარული სხდომის გადადება.

ოფიციალურ ცნობაში ნათქვამია, რომ ინგლის საბჭოთა კონფერენციის ორგანიზაციულმა კომისიამ დაადგინა გადადებულ იქნას კონფერენციის პლენარული სხდომა 4 ივნისისათვის, რათა მიეცეს საბჭოთა დელეგაციას დრო განიხილოს საკითხები, რომლებიც ამ ჟამად დღის წესრიგში არიან.

## გერმანია-საბჭოთა კონფლიქტის გარშემო.

#### ცნობის გაბათილება.

ბერლინის გაზეთების ცნობით საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობამ ბერლინში გამოაქვეყნა ოფიციალური ცნობა, რომელშიაც აბათილებს ხმებს იმის შესახებ, თითქოს მათ უნახეს გაჩხრეკის დროს გერმანიის მთავრობის საწინააღმდეგო მასალები. ცნობაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ყველაფერი ეს სიმართლეს მოკლებულია.

## ჩინეთ-საბჭოთა შეთანხმება.

ჩინეთის და საბჭოთა კავშირის შორის შეთანხმების ხელის მოწერამ არაჩვეულებრივი ინტერესი გამოიწვია საზოგადოების ყველა წრეებში. საზოგადო მოღვაწეთა მთელმა რიგმა, პროფესორებმა, სტუდენტებმა, სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლებმა ინახულეს საბჭოთა მისია და მიულოცეს კარახანს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ბრძანებით მისიის შენობასთან დააყენეს პოლიციის საპატიო დარაჯები.

თეთრგვარდიელებს პოლიცია თვალყურს ადევნებს.

მიღებულია ზომები, რათა გადაეცეს საბჭოთა კავშირს მეორე შენობა წარმომადგენლებისათვის.

ნაციონალისტების ორგანო „ცზინ ბაო“ სწერს, რომ ყველა სახელმწიფოები განცვიფრებული არიან მოლაპარაკების სიჩქარითა და მოულოდნელი შედეგით.

იაპონიის გაზეთი „შუნ-ტიენ-ტიენ-ბაო“ აღნიშნავს, რომ ეს შეთანხმება თითქმის იგივეა, რომელიც გამოიმუშავეს კარახანმა და ველინგტონ-კუმ და არავითარი ახალი პრინციპები მასში არ არის.

## ოსმალეთ-იტალიის კონფლიქტი.

#### მთავრობის სხდომა.

ანგორის მთავრობის დახურულ სხდომაზე, რომელზედაც მონაწილეობას ღებულობდა გენერალურ შტაბის თავმჯდომარეც, მიღებულ იქნა მთელი რიგი საყურადღებო დადგენილებებისა.

#### ფორმალურად კმაყოფილნი არიან.

ანგორის ოფიციალურ წრეებში აცხადებდენ, რომ მუსოლინის დამამშვიდებელი პასუხით როდოსზე ჯარის თავის მოყრის შესახებ ფორმალურად კმაყოფილნი არიან, თუმცა ასეთივე პასუხი იქნებოდა იტალიის მხრივ მაშინაც, რომ ამ ჯარის კონცენტრაციას რაიმე სამხედრო მიზნები ჰქონდესო.

#### მობილიზაციას არ აცხადებენ.

ანგორის წრეები აცხადებენ, რომ საერთაშორისო მდგომარეობის გამო შეუძლებელია, რომ იტალია დაესხას თავს ოსმალეთსო. ამიტომ ჯერჯერობით ოსმალეთის მთავრობა კმაყოფილდება ყურადღების გაძლიერებით და მობილიზაციას არ აცხადებს.

#### ოსმალეთის ჰიდროპლანების დაკავება.

შექმნილ მდგომარეობის გამო ოსმალეთის მიერ იტალიაში შეკვეთილი 25 ჰიდროპლანი დაკავებული იქნა იტალიის მთავრობის მიერ.

## გერმანიაში

#### ისევ ძველი მთავრობა დაბრუნდა.

მთავრობის კრიზისი დასრულდა ისევ მარქსის მთავრობის დაბრუნებით ხელისუფლების სათავეში.

#### კომუნისტების დევნა.

შტუტგარტში, პოსტდამში და ბრესლავლში ძლიერდება კომუნისტების დევნის კომპანია. ბურჟუაზიული გაზეთები სასტიკათ ილაშქრებენ კომუნისტების წინააღმდეგ.

#### ვიურტემბერგის პრეზიდენტი.

ვიურტემბერგის პრეზიდენტად აირჩიეს ნაციონალური პარტიის დეპუტატი ლანდტაგში ბაილე.

#### პრეზიდენტმა დაამტკიცა.

პრეზიდენტმა ებერტმა დაამტკიცა მარქს-შტრეზემანის მთავრობა მთლიანათ.

#### გაზეთების ცნობა.

ბერლინიდან მოსული ცნობებით, გაზეთები იტყობინებიან, რომ მთავრობა უზრუნველ ყოფილია რეიხსტაგის უმრავლესობის თანაგრძნობით.

# ამსტერდამის პროფკავშირთა გაერთიანებული კონგრესი.

## საბჭოთა პროფკავშირებთან კავშირის შესახებ.

კონგრესის მეორე სხდომაზე ნიგარი (დანიის წარმომადგენელია) ინგლისის დელეგაციის წინააღმდეგ წავიდა, სადაც უკანასკნელი მოითხოვდა მოლაპარაკების განახლებას. ტორნემ (წარმ. ინგლისის პროფ-სა) განაცხადა, რომ ინგლისის დელეგაცია წინააღმდეგი იქნება ბიუროს საქმიანობის ანგარიშის მიღებისა, თუ ინგლისის წინადადება არ იქნება მიღებული. ლენუასი (საფრანგეთიდან) ინგლისის წინადადების წინააღმდეგ წავიდა. წინადადება გადაეცა კომისიას. ინგლისის წინადადებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა კონგრესის წევრებზე.

## ეშინიანთ გამოსთქვან თავისუფალი შეხედულება.

კონგრესი გადადის ამსტერდამის ინტერნაციონალის წესდების შეცვლის საკითხზე. მომხსენებელი უდეგესი აღნიშნავს, რომ საერთაშორისო გაერთიანების ყველა სეკრეტარიატებმა უნდა შეუთანხმონ თავიანთი პოლიტიკა ინტერნაციონალის საერთო ხაზის პოლიტიკას. თუმცა ზოგიერთი საბჭოთა პროფკავშირები დაშვებულ იქნებიან ცალკე სეკრეტარიატებში, მაგრამ პროფკავშირთა მთლიანობა არ უნდა იქნას დარღვეული.

დღის წესრიგის საყურადღებო მუხლები გადაეცა განსახილველად კომისიას.

## ერთიანი მუშათა ფრონტის წინააღმდეგ.

მოხსენებაში ინტერნაციონალის ბიუროსა და სეკრეტარიატების შორის კავშირის შესახებ—ნათქვამია, რომ საერთაშორისო გაერთიანების სეკრეტარიატებს შეუძლიათ ცენტრალურ ორგანიზაციებთან არსებულ ორგანიზაციებში შესვლა.

ქვევით, მოხსენებაში ნათქვამია, რომ ინტერნაციონალის ბიუროსა და სეკრეტარიატებს შორის კავშირის გაძლიერება ნაკარნახევია აუცილებლობით, გადაჭრილ იქნას ბრძოლის ამოცანა პროფინტერნის წინააღმდეგ.

## საკითხის გადაჭრას ახანგრძლივებენ.

ამსტერდამის ინტერნაციონალის მომავალი საქმიანობის შესახებ ბრომლეიმ (ინგლისი) განაცხადა, რომ ეს პროგრამა მისაღებია ინგლისის ლიბერალურ ბურჟუაზიისთვისაც, ინგლისის მუშათა მასა კი საკითხს უფრო ფართოდ აყენებს.

უდდიდესის განცხადებით ინგლისის დელეგაცია უარყოფს ასეთ პროგრამას და მოითხოვს რკინის გზების, და სხვა ბუნებრივ სიმდიდრეების ნაციონალიზაციის.

წინადადების განხილვა დაევალა კომისიას.

---

# საერთაშორისო პროფკავშირთა გაერთიანების სეკრეტარიატების კონფერენცია.

ამსტერდამის ინტერნაციონალის კონგრესთან ერთად ვენაში შესდგა პროფკავშირთა საერთაშორისო გაერთიანების სეკრეტარიატთა კონფერენცია, რომელშიაც მონაწილეობდა ამსტერდამის ინტერნაციონალის პრეზიდიუმი.

გამოირკვა, რომ რამოდენიმე სეკრეტარიატი მომხრეა საბჭოთა პროფკავშირებთან თანამშრომლობისა. ამსტერდამის ინტერნაციონალის პრეზიდიუმი სცდილობს თავისი გაიტანოს, მაგრამ მათ წინააღმდეგ მიდიან რამოდენიმე კავშირები, განსაკუთრებით ტრანსპორტელები და სურსათზე მომუშავეები.

მიიღეს რეზოლიუცია, სადაც კონფერენცია სცნობს ამსტერდამის გაერთიანებას პროფკავშირთა ერთადერთ ინტერნაციონალად.

კონფერენციამ აირჩია ფიმენი, სმიდტი და კუკი სეკრეტარიატის წარმომადგენლებად ამსტერდამის ინტერნაციონალში, რაიც ამტკიცებს მარცხენა ფრთის გაძლიერებას.

---

# მოსულის კონფერენცია ჩაიშალა.

## ინგლისის დელეგაციის განცხადება.

ინგლისის დელეგაციამ მოსსულის კონფერენციაზე განაცხადა, რომ შემდეგი მოლაპარაკება ოსმალეთთან უშედეგო იქნება და უსარგებლო. დელეგაციის ცნობით მოსსულის საკითხი გადაეცემა გადასაწყვეტად ერთა ლიგის საარბიტრაჟო კომისიას.

### შთაბეჭდილებანი ანგორაში.

ოსმალური გაზეთების ცნობით, კონფერენციის ჩაშლას ანგორის წრეებში ისე შეხვდნენ, როგორც სრულიად მოსალოდნელ ფაქტს.

### იქაც დარწმუნდნენ.

ანგორის პოლიტიკურ წრეებში დარწმუნდნენ, რომ მაკდონალდის პოლიტიკა არაფრით არ განირჩევა კერზონის პოლიტიკისაგან და იგი ღირსეული მემკვიდრეა მისი წინამოადგილის ლორდ კერზონის.

### პრესის აზრი.

ოსმალური პრესა ერთხმად უსაყვედურებს ანგორის მთავრობას, რომ მან ვერ მიიღო წინდაწინვე სათანადო ზომები, რისშემდეგაც ადვილი გახდებოდა მოსულის კონფერენციის წარმატებით ჩატარება.

ზოგიერთი გაზეთები, კონფერენციის ჩაშლის ფაქტს უკავშირებენ კუნძულ როდოსზე იტალიის ჯარების თავის მოყრას.

### მთავრობას უსაყვედურებენ.

ოსმალური გაზეთები სავსეა საყვედურებით მთავრობის მიმართ.

გაზეთები ითვალისწინებენ ომის შესაძლებლობას და სწერენ, რომ ქვეყანა სრულებით არაა მზად ომისათვის, მან არაფერი იცის თავის საგარეო მდგომარეობის შესახებ ამავე დროს ოსმალეთი ცუდ განწყობილებაშია ყველა სახელმწიფოებთან. ინგლისთან დადებული ხელშეკრულება ლოზანაში კიდევ არაა ფორმალურად დადასტურებული ინგლისის მიერ. ამიტომ ლოზანის ხელშეკრულება ძალაში არაა. უკანასკნელ ხანებში საფრანგეთი სცდილობს შეუთანხმდეს ინგლისსო.

---

# საფრანგეთი.

### დეპუტ. პალატის თავმჯდომარე

დეპუტატთა პალატის თავმჯდომარეთ 296 ხმის უმრავლესობით არჩეულ იქნა დეპუტატი პენლევე. ვიცე თავმჯდომარეებათ აირჩიეს გოდარი, რენალდუ, ვარენი და დიუმენილი.

### დეპუტატთა პალატაში.

გუშინ დეპუტატთა პალატაში ხდებოდა მანდატების გაშინჯვა. დღეს დაიწყება საბოლოო არჩევნები ბიუროსი.

### ახალი კაცი.

„მატენი" იტყობინება, რომ თუ ერიოს კაბინეტი დამარცხდა დეპუტატთა პალატაში, მაშინ პრეზიდენტი მილიერანი შეადგენს ახალ მთავრობას. „მატენს" შესაძლებლათ მიაჩნია მთავრობის შედგენა მიენდოს ფრანსუა მარსალს.

---

# პოლონეთი.

### კომუნისტების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება.

სახალხო დემოკრატებმა შეიტანეს სეიმში წინადადება კომუნისტების წინააღმდეგ ბრძოლის წარმოების შესახებ. წინადადებაში გათვალისწინებულია ადგილობრივი ხელისუფლების რწმუნებათა გაფართოება ამ დარგში და კომუნისტებისათვის უფლების წართმევა არჩევნებში მონაწილეობაზე.

### პოლონელი მქლავაძე.

პოლონელ მენშევიკების დელეგატი მალინოვი, რომელზედაც კომუნისტურმა გაზეთმა „ტრიბუნა რაბოტნიჩა"-მ დასწერა რომ იგი ახრანკის აგენტიაო, კულუარებში მივარდა კომუნისტ დეპუტატ კულაკოვსკის და სცემა თავ-პირში. ინციდენტმა აღშფოთება გამოიწვია ფართო მუშათა მასებში. კომპარტიამ დაადგინა მოწოდებით მიმართოს მუშებს.

---

# რადიო ყოველ მხრიდან

### ალბანეთში სამოქალაქო ომი მწვავდება.

სხვა და სხვა წყაროებიდა მოსული ცნობებით სამოქალაქო ომი ალბანეთში მწვავე ხასიათს ღებულობს. სკუტარისთან მომხდარ შეტაკებაში აჯანყებულებმა ოფიცერთა ლიგის თავმჯდომარის მეთაურობით, გაიმარჯვეს ჟანდარმერიაზე.

### მობილიზაცია გამოაცხადეს.

სახელმწიფოში მომხდარ სამოქალაქო ომით შექმნილ მდგომარეობის გამო მთავრობამ გამოაცხადა 13 გაწვევის მობილიზაცია.

## ბულგარეთი

### 79-ს პროცესი

სოფიაში დაიწყო 79-ს პროცესი, რომელთაც ბრალდებათ წ. წლის სექტემბრის აჯანყებაში მონაწილეობის მიღება. ბრალდებულთა სიაში შეტანილ არიან კოლაროვი და დნეპროვი.

## იტალია

### კომპარტიის კონფერენცია

იტალიის კომპარტიის კონფერენციაზე, რომელსაც დაესწრო 45 პროფორგანიზაციის სამდივნო წარმომადგენელნი კონფერენციაზე ერთხმათ იქნა მიღებული რეზოლიუციები ფაშიზმის, მთლიანი ფრონტის და მუშათა და გლეხთა მთავრობის ლოზუნგების შესახებ.

იტალიის სოციალისტურ პარტიასთან დამოკიდებულებაზე მსჯელობის დროს კონფერენციაზე თავი იჩინა სამმა მიმართულებამ. გაიმარჯვა მემარცხენეების წინადადებამ.

### ემილ ზოლას ხსოვნისათვის.

15 ივნისს პარიზში გაიხსნება ახალი ძეგლი იმილ ზოლასი. ამ დღეს შესდგება დიდი მანიფესტაციები.

---

# ამხ. ტროცკის „უბის წითელი წიგნი"-ს შესახებ.

უნდა ვიფიქროთ, რომ ამ წიგნს ჩვენი ჯარის ყველა ნაწილები გაცნობილი იქნება. ის იყო მოთავსებული № 83 „Красная звезда"-ს (წითელი ვარსკვლავი) დამატებაში. მდაბიო და ყველასათვის გასაგებ ენით, მოკლეთ, მაგრამ შინაარსის მხრივ მეტად მდიდარ დარიგებას გვაძლევს ამხ. ტროცკი მუშათა-გლეხთა წითელი ჯარის ცხოვრების საამშენებლო ამოცანების შესახებ.

მოკლე „უბის წიგნი" გვევლინება ჩვენ იმ ძირითად დებულებათ, რომელსაც დიდი ხანია ველოდით. მასში არ არის არაფერი ახალი. მხოლოდ ის თავს უყრის ყველა იმას, რაც ძვალში და რბილში უნდა ჰქონდეს გამჯდარი ყოველ უფროსს, (კომანდირს) პოლიტ-მომუშავეს და წითელ არმიელს, და სწორედ ამაში გამოიხატება ამ წიგნის მნიშვნელობა და ფას-დაუდებლობა, რადგან დაფანტული სხვა და სხვა ბრძანებებში, დებულებებში დარიგებანი და მითითებანი წითელი ჯარის ცხოვრების ძირითად საკითხების შესახებ ბევრ მომუშავეებს არც კი ქონდა შეთვისებული ჲ ამაში იყო ჩვენი სუსტი მხარე, ჩვენი ნაკლი, რაც წითელი ზოლივით გამოსჭვივის ყოველი ჯარის ნაწილში. „უბის წიგნში" ყოველივე ეს გათვალისწინებულია დაწყებული წითელი ჯარის უდიდეს ამოცანებიდან და დამთავრებული ტოლაღების წითელ არმიელის მიერ ლამაზათ დახვევით, რასაც იარაღის ხმარების ცოდნასთან და შეგნებასთან ერთად აქვს ასე თუ ისე მნიშვნელობა გამარჯვების საქმეში.

ამხ. ტროცკი იძლევა საქარგავ ტილოს; მასზედ ყოველ წითელ არმიელმა უნდა ამოქარგოს, გამოიყვანოს უბრალო და მარტივი სახე და თანდათანობით შეეჩვიოს გადასვლას ან-ბანურ ჭეშმარიტებიდან წითელ-ჯარის ორგანიზმის სულ მცირე უჯრედების მიერ უფროსობის მექანიზმის შესწავლის შესაძლებლობაზე; ამ ტილოზე ყოველ უფროსმა და პოლიტ მომუშავემ უნდა შექმნას ლამაზი და უკვე დასრულებული აღზრდის და სწავლების საქმის სახე წითელ არმიელთა მასებისათვის, უნდა გამომუშავდეს შეგნებული მებრძოლი-რევოლიუციონერი, რომელიც შეიძლებს ყოველივე სიმძიმის და გაჭირვების გადატანას მშრომელთა გამანთავისუფლებელ ბრძოლაში, ახალ ქვეყნის დასამყარებლად, თავისუფალს ყოველ გვარ ცრუ შეხედულებისაგან და მრავალ მილიონიან მუშათა და გლეხთა ჩაგვრისაგან.

„უბის წიგნი" ყოველ მხრივ აშუქებს წითელ ჯარის მეომრის დოგმატებს და თუ ეს დოგმატები აღიბეჭდება ყოველი წითელ არმიელის გულში, მაშინ მომავალი მუშაობა მათთან აღზრდის და სწავლების საქმეში შედარებით გაადვილდება. „უბის წიგნის" ცნობა მარტო არ კმარა, ის უნდა შეითვისოთ იმდენათ, რომ ყოველ ნაბიჯს, ყოველ მოქმედებას უნდა სინჯავდეთ ამ წიგნის მიხედვით. უსათუოდ ასეთ დიდ საქმეში თავის მხრივ მაგალითების მიმცემათ უნდა იყვნენ აგრეთვე უფროსები და პოლიტ-მომუშავენი. „უბის წიგნის" § 16 ამბობს: „უფროსების და კომისრების უფლებები სამხედრო საქმის მოთხოვნილების მიხედვით ძალიან დიდია.

მაგრამ უფრო დიდია მათი მოვალეობა და პასუხისმგებლობა. ყოველი ჯარის ნაწილი უსათუოდ იქნება ისეთი, როგორიც შექმნა ის უფშემადგენლობამ და კომისრებმა". ეს ჭეშმარიტება უნდა ახსოვდეთ უკანასკნელთ, რომლის უმისოდ შეუძლებელია ფიქრი მასსების გაძლოლაზე. უფროსი და კომისარი, რომლებიც მოითხოვენ თავის ხელქვეითიდან, თავდაპირველად ასეთი მოთხოვნილებებით თავიანთ თავს უნდა წარუდგენ.

პუგაჩოვი.

(დასასრული ხვალინდელ №-ში).

ეროვნული ბიბლიოთეკა




## ყოველი მხრიდან—ჩვენს რიგებში.

3 ივნისს, საღამოს ხუთ საათზე 1-ლი ქართ. მსროლელ ლეგიონის მუსიკა თბილისის სადგურზე შეეგება კახეთიდან მომავალ ახალ წვეულებს.

იქვე, სადგურშივე გაიმართა მისასალმებელი სიტყვებით. ლეგიონის სახელით ახალწვეულებს ესალმება ამავე ლეგიონის პოლიტმუშავე ამხანაგები და გამოსთქვამენ იმედს რომ ახლად მოსულები გაამართლებენ მუშურ-გლეხური ხელისუფლების იმედებს.

მისასალმებელი სიტყვების შემდეგ მუსიკითვე მივემგზავრებით 1-ლი ლეგიონისაკენ. გამხიარულებულ წითელ ყაზარმაში, მისვლისთანავე გაიმართა მიტინგი ახალ წვეულებთან ერთად და მოკლე სიტყვებით იქაც ესალმებიან ამხანაგები.

### დამხვდური ახალწვეულებიც ესალმებიან ახლად მოსულებს.

სხვათა შორის მოსულებს მისალმება ერთი თვის წინ მოსული წ. არ. ამხ. სურგულაძე. ის დიდი ენტუზიაზმით ესალმება „კახელ ბიჭებს“ და მოუწოდებს საბჭოთა ხელისუფლების ერთგულებისაკენ. ახალწვეულებიც მხიარულად იყვნენ. მათ სახეზე აღფრთოვანებას ამოიკითხავდით სიყვარულს და ნდობას საბჭოთა ხელისუფლების და კომუნისტური პარტიისადმი.

### ღირსეული წითელ-არმიელები ვიქნებით.

მოსული ახალგაზრდობა შედარებით განვითარებული, გამოცდილი, და თავისი მოვალეობის პატიოსნად ამსრულებელი.

ეს აშკარად სჩანს მათი საერთო განწყობილებისაგან. ისინი დარწმუნებულნი არიან იმაში, რომ საბჭოთა მთავრობა, კომუნისტური პარტია და მისი წითელი ლაშქარი, არის მხოლოდ ერთად ერთი დამცველი მუშურ-გლეხურ ინტერესებისა, ისინი დიდი ნებისყოფით და დაუზოგავი ნაბიჯებით მიიჩქარიან წითელ ჯარის რიგების შესავსებლად. ეს ასეც უნდა იყოს, რადგანაც ჩვენი ახალი წვეულები არიან პატიოსანი მშრომელი ოჯახის შვილები, მშრომელთა ინტერესების დამცველი კი არის წითელი არმია.

შ—ვა.

## ახლების შორის.

მიუახლოვდით პირველ ლეგიონის ყაზარმებს... შევდივართ ეზოში. უჩვეულო სისუფთავეა გარშემო.

დილის მზე უხვად აფრქვევს თავის სხივებს.

შესავალთან კიბეზე შეგროვილა უფროსთა და პოლიტ შემადგენლობის ჯგუფი და ბაასობს. საუბრის საგანია—ახალ წვეულები, რომელთა მოსვლა ლეგიონში სამი დღეა, რაც დაიწყო.

ნაწილი ახალ წვეულებისა იმყოფებიან კარანტინში, ნაწილი კი უკვე დაბანაკდა ყაზარმაში.

### დაყრუებული ყაზარმები კვლავ გამხიარულებულია.

მივდივართ პირველ ასეულში. მხიარული ჟრიამულით გვეგებება ასეულის შენობა. შესავალთან ვხდებით რამოდენიმე ახალწვეულებს, რომლებიც დიდი ცნობის მოყვარეობის თვალით გვაცილებენ. შევდივართ ყაზარმაში. ჩვენს წინაშე იშლება მეტად მრავალ ფეროვანი სურათი, დაყრუებული ყაზარმა კვლავ გაცოცხლდა, ახალგაზრდა ძალებმა შეიტანეს მასში სიცოცხლე, სიხარული და აღფრთოვანება. ახლად მოსულები უკვე გრძნობენ მასში თავს, როგორც საკუთარ სახლში. გარშემო მხიარულება, სიცილი და მეგობრული მასლაათი.

აგერ კუთხეში ერთი ახალგაზრდა მარდათ უვლის ლეკურს დოლის ქვეშ. მხიარულნი სახეები მისი ამხანაგებისა ერთგულად უკრავენ ტაშს...

### ლენინის კუთხე—ახალ-წვეულთა ყურადღების ცენტრია.

ლენინის კუთხე... სურათები, ლოზუნგები, პლაკატები. აგერ ახლად გამოშვებული კედლის გაზეთი. ის ესალმება ახალ მოსულებს და მოუწოდებს მათ მედგრათ იდგენ საბჭოთა ხელისუფლების სადარაჯოზე.

წითელმა კუთხემ, როგორც სჩანს დიდი ყურადღება დაიმსახურა ახალ წვეულებში.

ისინი დიდის ყურადღებით შესცქერიან პლაკატებს და პოპულიარულ ენით დაწერილ ფურცლებს სავეტერინარო, სამხედრო და სხვა დარგებიდან-

უეცრათ მუსიკის ანგები არღვევს ჰაერს და მას თან მოსდევს ვაშას ძახილი.

### კიდევ ახალი რიგები.

მოვიდა ახალგაზრდების ახალი ჯგუფი. პირ მცინარე, მკერდ მოღიადებული შემოდიან ისინი ყაზარმის ეზოში. მხიარული ღიმილი დასთამაშებს მათ სახეზე. მათ შესახვედრათ გამოცვივდენ ყაზარმის ყველა კუთხიდან: ადრე მოსულ ახალი წითელი არმიელები, ძველი წითელი მოლაშქრენი, უფროს და პოლიტშემადგენლობაც. რამოდენიმე წუთების განმავლობაში მთელი ეზო გაიჭედა ხალხით.

### წითელი ყაზარმა კულტურისა და სინათლის კერაა.

იხსნება მიტინგი.

ორატორები ესალმებიან ახალ მოსულებს, მოუწოდებენ სიმტკიცისაკენ, რომ ღირსეულად ატარონ წითელი დროშა.

ახალ წვეულთ ესალმება აგრეთვე ძველი წითელ-არმიელი იმნაიშვილი, რომელსაც ახლები ტაშის-ცემით ხვდებიან.

ჩვენ ორი თვეა, რაც მოვედით აქ. წამოსვლისას დაღონებულები ვიყავით, რადგან არ ვიცოდით რას წარმოადგენდა ყაზარმა. მოსვლისას ჩვენ სულ სხვა სურათი წარმოგვიდგა წინ.

წითელი ყაზარმა აღმოჩნდა კულტურის და სინათლის კერა. ჩვენ აქ ბევრი შევისწავლეთ და მით შევიყვარეთ ჩვენი ყაზარმა. მედგრათ ჩადექით ჩვენს რიგებში და მტკიცედ დაიცავით მუშების და გლეხების ხელისუფლება და მათი თავისუფლება!!

მქუხარე ტაში და ერთსულოვანი ვაშა იყო ახლების პასუხი.

მიტინგი დაიშალა, და კვლავ გაეშურენ თავის ახალ ბინისაკენ.

მეგობარი.

## პარტიული მუშაობა და ახალწვეულების შეხვედრა მე-2-რე და მე-3-ე ლეგიონში.

გამწმენდ კომისიის შემადგენლობაში პარტ-კომისიის წევრებიც შედიოდენ, რომელთაც უნდა გაერჩიათ პარტიული საქმეები. გარდა ამისა მოწვეული იყო პარტ-წევრთა საერთო კრება, სადაც გაშუქებული იქნა, თუ როგორ უნდა შეხვდენ ახალწვეულთ და როგორ უნდა ვაწარმოვოთ მათთან მუშაობა კარანტინში ყოფნის დროს. მართალია, ახალწვეულთა შეხვედრის მოსაწყობათ არჩეული იყვნენ სპეციალური კომისიები, მაგრამ ისინი დაწვრილებით არ იყვნენ გაცნობილი საქმეს, რაც გამოირკვა კრებაზე. კრებამ დაავალა ბიურო კოლექტივს იზრუნოს ყოველი ნაკლის შესავსებათ. სხვათა შორის ამავე კრებაზე გამოირკვა, რომ შარშან ახლად წვეულების შეხვედრაში იყო ნაკლი. ამ გარემოებას საფუძვლად დასდებია შემდეგი მიზეზი. უფპოლიტშემადგენლობის ნაწილს უფიქრია თითქოს ახლად მოსულ წ. მოლაშქრეს თუ თავიდგან არ აგრძნობინე მკაცრი დისციპლინა, შემდეგში არ დაგვიჯერებს არაფერსო. ამ მოვლენის წინააღმდეგ სათანადო ზომები ყოფილა მიღებული და იღებენ ეხლაც, რომ ადგილი არ ექნეს მას. მოწვეულ იქნა უფშემადგენლობის და პოლიტმუშაკების საერთო კრება, სადაც ამხანაგები ეხებოდენ წ. ჯარის ცხოვრებას და მიუთითებდენ წარსულის შეცდომებზე. მეორე ლეგიონში კრება ვერ მოვიწვიეთ, მაგრამ პარტიული კრება მაინც შესდგა, სადაც პარტკომისიის მიერ გაირჩა რამოდენიმე საკონფლიქტო საქმე. კერძოთ ამხანაგებთან საუბრის დროს გამოირკვა, რომ შეხვედრის საქმე კარგათ აქვთ მოწყობილი. უნდა აღინიშნოს რომ ამას წინათ „წ-არმიელში“ მოთავსებულმა წერილმა საკავშირო ასეულის კომუჯრედის დადგენილების შესახებ დიდი აღფრთოვანება გამოიწვია ამხანაგებში და უკვე შეუდგენ კომისიების არჩევას, რომლებიც ხელს შეუწყობენ წ. მოლაშქრეების ზნეობრივათ აღზრდის საქმეს. იმედია აღნიშნული კომისიები კოლექტივების დახმარებით პირნათლად შეასრულებენ თავიანთ მოვალეობას.

ს. ლ.

## როგორ ვიმგზავრეთ ქ. ზესტაფონიდან ტფილისამდე.

### (ახალწვეულის შთაბეჭდილებანი).

31 მაისს ახლად მიღებული წ. არმიელები ვჯგუფდებით შორაპნის მაზრის მიმღებ კომისიის შესაკრებ პუნკტზე.

ახალ წვეულები ჯგუფ-ჯგუფად მოდიან, მოიმღერიან. რაღაც არა ჩვეულებრივი განწყობილებაა შექმნილი. ყველას უხარია, თითეული ახალწვეულის სახეზე რაღაც გამოუთქმელი ღიმი კრთის... ახლად მოსულები ესალმებიან დამხვდურებს. იმართება კვლავ სიმღერა და ოხუნჯობა. ამასობაში მზადდება ჩვენთვის სათანადო დოკუმენტები. სულ ორმოცი კაცი ვართ. არავინ გვაკლია. ჩვენი სათანადო საბუთებიც უკვე გამზადებულია. ყველამ ვიცით რომ ქართულ დივიზიის პირველ ლეგიონში ვართ გაწერილი. ეს გარემოება მით უფრო ახარებს ახლად მიღებულ ლაშქრელებს.

აბა დავეწყოთ... გაისმა ხმა.. ყველანი ამოძრავდა, საგზალი ხელში უჭირავთ... სადგურზე გვაცილებენ ნათესავები. გზაში სიმღერა.

აი სადგურიც...

### მატარებელი № 21.

მოვსძებნეთ ჩვენი ვაგონი და მოვეწყვეთ. დაიწყო მშობლებთან და ნათესავებთან გამომშვიდობება... მშობლები დარიგებას გვაძლევენ, ერთგული სამსახურისაკენ მოგვიწოდებენ: „გახსოვდეთ, რომ საბჭოთა ხელის უფლება მშრომელთა ხელისუფლებაა, ერთგულად ემსახურეთ მას და თუ საჭიროება მოითხოვს სიცოცხლეც კი შესწირეთ“.

განა ეს გვჭირდებოდა? ისედაც გახურებული ვიყავით ჩვენი ხვედრით. „თქვენ ცოდნით უნდა დაბრუნდეთ სოფელში. გამოიჩინეთ მუყაითობა და შეიძინეთ ის“. კიდევ გვეუბნებიან მშობლები.

მატარებელიც გაემზადა... გაჰკივის. უკვე მოთავსებული ვართ ყველანი ვაგონებში.

„უუუუუუ“ უკანასკნელად შეჰკივლა ორთქლმავალმა და დავიძარით სადგურიდან.

სიმღერა, სიმღერა, გაისმა აქა იქ, და ჩვენც შამოვსძახეთ. აკრიმანჭულდა ხმები... გახურდა სიმღერა და დაიფარა ვაგონების აჩქარებული ხმაური. გავიარეთ წიფა—დავსცილდით დასავლეთ საქართველოს საზღვრებს. ჰაა, ქართლის გადაქიმული მინდვრებიც,

### არსებულ ხელისუფლებისათვის —ვიბრძოლებთ თავდადებით.

თანდათან უახლოვდებით თბილისს. წ. ყაზარმების ნახვის მოლოდინში ვართ. ყველას გვეინტერესება ჩვენი მომავალი ცხოვრების სარბიელი.

აი თბილისის სადგურიც. ლეგიონის წარმომადგენლები ალტაცებით გვეგებებიან.

გულზე სიამე გვეფინება. „ალბად კარგ დამოკიდებულებაში ვიქნებით უფროსებთან“ ეკითხებიან ერთმანეთს ლაშქრელები. მოგვესალმა ამხ. წულუკიძე. სხვებიც გვესალმებიან და გვაცნობენ წ. მოლაშქრის დანიშნულებას.

ჩვენც ფიცს ვიძლევით, მუშურ გლეხური ხელისუფლებისათვის ვიბრძოლოთ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე.

ახალ წ. შალვა კვინიკაძე.

## წითელ არმიელისათვის საჭირო ცნობები სავეტერინარო დარგიდან.*)

რა მოქმედობით სძლევენ “ციმბირის წყლულის ბაცილები“ სისხლის ბურთებს, ანუ რით აიხსნება ცხოველის სიკვდილი??

ამის შესახებ არსებობს სამი აზრი.

ერთი—რომ „ბაცილები„ იმდენად მრავლდებიან რიცხვით სისხლში, რომ მის მსვლელობას აფერხებენ, მას აგუბებენ სისხლის მილების კაპილიალურ შტოების დაცმით, ამისაგამო ცხოველს სუნთქი ეკვრის და იხრჩობა. მეორე შეხედულობა შესდგება იმაში, რომ „ბაცილები“ ართმევენ სისხლს საზრდოს—მჟავბადს და სისხლის ბურთებს შიმშილით ჰკლავენ; მესამე შეხედულება, რომლის მამამთავრად ითვლება გოფი, გულისხმობს „ქიმიურ“ მოქმედობას, ესე იგი ,,ბაცილები თავის ნივთიერების ცვლილებით (განავალი) სწამლავენ ცხოველის მთელ სხეულს და ისე ჰკლავენ მას, ეს უკანასაკნელი შეხედულება პოულობს უფრო ბევრს მიმდევრებს და მტკიცდება სხვა მეცნიერების კვლევა—ცდებითაც.

### საერთო ხასიათის შენიშვნები „ციმბირის წყლულით“ დაავადმყოფებაზე.

,,ციმბირის წყლულით“ ხდება ავად ყველა ცხოველი; მომეტებულ ნაწილად კი განწყობილია ამ ჭირისადმი რქოსან—მღეჭავი საქონელი: ხარი, ძროხა, ცხვარი, თხა, აქლემი, შემდეგ ცხენი და სხვა. შინაურ ფრინველებში ავად ხდებიან—ქათმები, იხვები და მტრედები; ალსანიშნავია ის მოვლენა, რომ ბატები არ ხდებიან ამ სენით ავად; გარეული ფრინველი სრულებით არ ხდება ავად ამ სატკივრით. ზოგიერთი ცხოველები, რომელთაც ერთხელ გადიტანეს ,,ციმბირის წყლული“, რამოდენიმე თვის და მთელი წლის განმავლობაში—დაზღვეულნი არიან ამ სენის ხელმეორედ შეყრისაგან-

,,ციმბირის წყლული“ ჩნდება თვითეულ თავ საქონელზე; ასე მოვლენილ დაავადმყოფობას უწოდებენ ,,სპორადიულ“ ავადმყოფობას. როდესაც ციმბირის წყლული ჩნდება ნახირის კერძო ჯგუფ-ჯგუფზე-ეძახიან—,,ენზოოტიურ“ ავადმყოფობას, მხოლოდ როდესაც იგი იპყრობს მთელ ნახირს, მთელ ჯოგს—ეძახიან—,,ეპიზოოტიურ“ ავადმყოფობას.

,,ციმბირის წყლულის“ გაჩენას ხელს უწყობს ნიადაგის სხვა და სხვა თვისებანი და მასზე აღმოცენებული მცენარეების ერთგვარი თვისებანიც; შემდეგ—ნოტიო წელიწადი და კერძოთ მისი განსაკუთრებული დრო (გაზაფხული და შემოდგომა უმეტესად და იშვიათად, მაგრამ მწვავეთ-ზაფხულიც): მასვე ხელს უწყობენ ჭაობიანი, ნესტიანი ადგილები, რომელნიც ზაფხულობით შრებიან; ამ მხრივ ,,ციმბირის წყლულის“ გაჩენას უკავშირებენ წვიმიან დროს და ნამეტურად იმ ადგილებს, რომელნიც წყლის მოდიდების დროს წაილეკებიან ხოლმე,

*) იხ. ,,წ. ა.“ № 516.

მხოლოდ წყლის დაკლების დროს კი— საჩქაროდ შრებიან; ჩვენში ასე ხდება რიონის არემარეში, მის წყალდიდობის დროს, ნამეტურად ფოთის მხარეს, სადაც რიონით წაილიკება ხოლმე ვრცელი მიდამო და ამ მიდამოში წყლის დაკლების შემდეგ ზემოაღნიშნული სენი ჩნდება. ზამთრობით „ციმბირის წყლული" სწყდება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ შემთხვევებს, რომელთაც ალაგი აქვთ ხოლმე ბოსლებში და რომელნიც ჩნდებიან თვით. აქედამ ადვილი ასახსნელია ის ზარალი, რომელიც გადაიტანა კაცობრიობამ და დღესაც მოსდით სხვა და სხვა სახელმწიფოებს და საქართველოსაც „ციმბირის წყლულისაგან" (ეს წერილი უკვე დაწერილი მქონდა, როდესაც გაზეთ კომუნისტის № 90-ში ამ აპრილის 20-ს თარიღით წავიკითხე „მეთვალყურეს" წერილი. რომ ქუთაისის კოოპერატივში აღმოუჩენიათ აუარებელი რიცხვი ტყავებისა „ციმბირის წყლულით" დაავადმყოფებული ცხოველებისა. მეთვალყურე სამართლიანად აღნიშნავს, რომ საქართველოს მცხოვრებთა სიცოცხლე უზრუნველყოფილი არ არის ამ სენისაგან, მხოლოდ ვისი წყალობით?? აქ კი არ ვეთანხმები „მეთვალყურეს" და ამ არა ნორმალური მოვლენის სიმძიმე უნდა ვეძიოთ ვეტერინალურ დაწესებულების სათავეში და არა ადგილობრივად. ჩვენ შევეცდებით ამ საკითხს ვუძღვნათ ცალკე წერილი.

აი მაგალითები ციმბირის წყლულის მსხვერპლისა სხვა და სხვა სახელწიფოებში. ზემო ბავარიამ 1872-75 წლებში დაკარგა 9,000 თავი საქონელი: პრუსიამ 1878-83 წლებში დაკარგა—6.000 მსხვილფეხა საქონელი, 3:000 ცხვარი და 300 ცხენი, საფრანგეთმა ოცდაათ წლებში დაკარგა—5000 მსხვილფეხა საქონელი და 300.000 ცხვარი; რუსეთმა, მარტო ნოვგოროდის გუბერნიაში, 1867-68 წელში, ესე იგი ერთი წლის განმავლობაში, დაკარგა ციმბირის წყლულისაგან 40,000 ცხენი, 8.000 მეტი ძროხა, 6000 ცხვარი და (უდიდესი ღირებულება) 500 კაცი; 1912-15 წლებში ციმბირმა და შორეულ აღმოსავლეთმა ზედმიწევნით სტატისტიკის ცნობით დაკარგა—60.000 ცხენი 16.000 ძროხა და ხარი და რამოდენიმე ასეული კაცი (ადამიანის მსხვერპლი ყველაზე მეტი იყო ამურის რკინის გზის ახლად გაყვანის დროს სადაც მუშაობდნენ რუსის და ჩინეთის გლეხობა და ისე ივლიტებოდნენ ციმბირის წყლულისაგან, როგორც ბუზები; სამწუხაროდ საქართველოს შესახებ ხელთ არა გვაქვს ნამდვილი-სამართლიანი სტატისტიკური ცნობა—თუ რა ზარალი მოუვიდა მას საბჭოთა ხელის უფლების დამყარებამდე და შემდეგ. კანტი-კუნტად მიღებული ცნობები-კი დიდს, არასასურველ, სურათს გვიხატავენ საქართველოში ამ სენის მხრივ. ჩვენ ხელთ გვაქვს ცნობები, რომ დასავლეთ საქართველოში ციმბირის წყლულისაგან დაზარალდა ხალხიც; საქონელზე—ხომ ზედმეტია ლაპარაკი.

**ბასრი.**

(გაგრძელება შემდეგ)

## ახალი ამბები.

— **რევტრიბუნალში.** ქართულ დივიზიის სამხედრო რევტრიბუნალში 9 ივნისს გაირჩევა ანდრია კიმოთესძე მამიკაშვილის საქმე (1-ლი ლეგიონერი) ბრალდება ქურდობა, სიყალბე და სხვა ბოროტმოქმედებანი.

— **წყლის მიწოდება ქალაქისთვის.** ავჭალის წყალსადენმა მიიღო ზომები მიაწოდოს ქალაქს 600-650 ათასი ვედროთი მეტი, ვიდრე აქნამდე აწოდებდა, რაც სრულიად საკმარისია მცხოვრებთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

— **ბაღების მორწყვა.** წყალსადენის დირექციის დადგენილების თანახმად ბაღებისა და ბოსტნების მორწყვა უნდა მოხდეს საღ. 7 საათიდან დილის 7 საათამდე.

— **მოძრავი ბიბლიოთეკა.** ტფილისის პოლიტგანათლების მიერ მოწყობილია მაზრისათვის მოძრავი ბიბლიოთეკა, რომლის ნაწილიც მაისის ბოლო რიცხვებში გაიგზავნა ტფ. მაზრის რაიონებში.

— **უცხოელთა საქმეები.** საქარ. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საერთო განყოფილებასთან დაარსდა უცხოელთა საქმეების მწარმოებელი ნაწილი.

— **ნიკოლოზისეულ ფულების გამსაღებლები.** უკანასკნელ ხანებში კიდევ იყო შემთხვევები ნიკოლოზის დროინდელ შაურიანებისა და ათშაურიანების გასაღებისა. ბოროტმომქმედნი სცდილობენ აგრეთვე ვერცხლის ფულის გასაღებასაც. ფინანსთა კომისარიატის დადგენილებით ყველა ის, ვინც შემჩნეულ იქნება ამგვარ ბოროტმოქმედებაში, იქნება პასუხის გებაში მიცემული.

— **კოოპერატიულ კურსებზე.** ცეკავშირმა გადასწყვიტა მოსკოვის უმაღლეს კოოპერატიულ კურსებზე გაგზავნოს სამი სტიპენდიანტი.

— **ლექციები ვეტერინარიიდან.** ცხოველების უფრო კარგათ მოვლის მიზნით ტფილისის მაზრის სოფლებში, კომიაჩეიკების და სოფლის აღმასკომების თხოვნით მიმდინარეობს ლექციების კითხვა ვეტერინარიაზე.

— **შირაქის არხი.** შირაქის არხის გასაყვანათ ა. კ. ეკონომიურმა საბჭომ გადასდო 50.000 მანეთი. ამავე საბჭომ მეტეხის ხიდის შესაკეთებლად გადასდო ხუთი ათასი მანეთი.

— **რამდენი კაცი იქნება გაგზავნილი აგარაკებზე.** საქართველოს პროფკავშირთა საბჭომ დაადგინა წელს საagarაკოთ გაგზავნოს 5.000 მუშა-მოსამსახურე.

— **ტელეფონებით სარგებლობა** ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოს დადგენილებით სახელმწიფო დაწესებულებებს, რომლებიც სახელმ. მოძარაგებაზე იმყოფებიან, არ გადახდებათ ზედმეტი ტელეფონის აპარატების სარგებლობისათვის გადასახადი.

— **საკრედიტო დაწესებულებები სოფლად.** ცეკავშირმა გადასწყვიტა სოფლის კოოპერატივებთან და თვით ცეკავშირთან მოაწყოს საკრედიტო (გამსესხებელი) განყოფილებები.

— **გლეხთა კომიტეტების თათბირი.** დღეს, 6 ივნისს, გაიხსნება სრულიად საქართველოს გლეხთა კომიტეტების წარმომადგენელთა თათბირი.

— **ავჭალის ჰიდრო-ელექტრონის სადგური.** ზემო-ავჭალის ჰიდროელექტრონულ სადგურის აშენება ვარაუდით დასრულდება 1925 წ. ოქტომბრის თვისათვის.

## ხელოვნება.

— **თვითმშრომელთა კლუბში.** შაბათს 7 ივნისს თვითმშრომელთა კლუბში ი. ზარდალიშვილის რეჟისორობით და მონაწილეობით გაიმართება დიდი საღამო-წარმოდგენა.

— **თეატრი რაჭაში.** ქალაქ ონში (რაჭა) დასრულდა სახალხო სახლის აშენება. თეატრი გაიხსნება მოკლე ხანში.

— **წითელი დერვიში.** მზადდება რუსთაველის თეატრში დასადგმელად ალ. აზარიანის ახალი რევოლიუციონური პიესა „წითელი დერვიში" პიესაში მონაწილეობას მიიღებენ ტ. აბაშიძე, ვალ. გუნია და მიხეილ გელოვანი.

— **ლენინის ნაწერები.** გამოვიდა ქართულ ენაზე ლენინის ნაწერების მეორე ტომი.

— **მოჭიდავე ნ. ესებუას იუბილე.** კვირას, 8 ივნისს, ცირკის შენობაში გაიმართება ცნობილი ქართველი სახალხო მოჭიდავის ნ. ესებუას იუბილე. იუბილეზე საჭიდაოთ გამოწვეული არიან ცნობილი მსოფლიო მოჭიდავენი.

## სასოფლო მეურნეობა.

### ზეთის ხილი.

ზეთის ხილის გამრავლება შეიძლება ორნაირათ თესლის—კურკებით და რქებით. თესლიდან მცენარე აღმოცენდება გვიან – ორი წლის შემდეგ, მაგრამ გამოდის უფრო მძლავრი, საღი და გამძლე ხე ადვილათ ეგუება ადგილობრივ ბუნებრივ პირობებს, კარგათ უძლებს გვალვას, ზაფხულის სიმშრალეს, ზამთრის სიცივეს და ქარებს. ამასთან ერთათ იძლევა კარგი ღირსების და უხვ ნაყოფს. თესლიდან ამოსული მცენარე ნაყოფიერებას იწყებს მეათე—მეთერთმეტე წელიწადს. რქებიდან ამოსული მცენარე კი ნაყოფს იძლევა 5—6 წელიწადს. აღმოცენების დასაჩქარებლათ კარგია თუ კურკას 1—2 დღის განმავლობაში დათესვის წინ წყალში ვამყოფებთ. ამავე მიზნისთვის კარგა უნდა გადავაყლაპოთ ინდაურებს. კურკას ინდაური ვერ ინელებს და განავალთან ერთად გამოდის ასეთი კურკა ძლიერ მალე ამოდის. ახალგაზრდა ხე ივლის—აგვისტოში უნდა დავამყნათ. 5—6 წლის მცენარეები უნდა გადავრგათ მუდმივ ადგილზე ბაღში. გადარგვა უნდა გაზაფხულზე. მცენარეს თან გამოვაყოლოთ რაც შეიძლება მეტი მიწა. დასარგავათ უნდა ამოვთხაროთ ორმოები 1—1 მეოთხედი არშინის სიღრმის და 2 არშინის სიფართის.

ზეთის ხილი ბაღში რიგზე უნდა დავრგათ. მცენარეთა შორის მანძილი უდრის 2 ნახ.—3 საჟენს, რიგებს შუა კი 4—7 საჟენს. ახალგაზრდა მცენარეებს კარგი მოვლა ესაჭიროება. თავის დროზე უნდა გაითოხნოს, მოისპოს მავნე სარეველა მცენარეები, გაპოხიერდეს (ნაკელით), საჭიროების დროს უნდა მოირწყას, გაისხლას, გაახალშენდეს და სხვა.

ზეთის ხილის ბაღს ძლიერ უხდება შემოდგომაზე გადაბარვა, ნაყოფის მოკრეფის შემდეგ. გადაბარვა უნდა 6 ვერშოკის სიღრმეზე, გადაბარვასთან ერთათ ხე უნდა გავაპოხიეროთ და ირგვლივ რაც შეიძლება, მეტი მიწა შეაყაროს, გაზაფხულზე ნიადაგი ისევ უნდა გავასწოროთ. ზეთის ხილისათვის საუკეთესო სასუქია კარგათ გადამწვარი ნაკელი. განსაკუთრებით თხის და ცხვრის. ზეთის ხილის ბაღის მორწყვა გვალვების დროს აუცილებელია. ამაზე შემდეგ წერილში.

**მეურნე.**

## მეცნიერება და ტექნიკა

### ახალი გამოკვლევა ჩრდილოეთის ბრწყინვალების ბუნების შესახებ.

ვისაც უცხოვრია რუსეთში, ერთხელ მაინც აუცილებლად განცვიფრებაში მოვიდოდა იმ გარემოებით, რომ იქ ძლიერ ნათელი ღამეები იცის. განსაკუთრებით უფრო ადვილი შესამჩნევია ეს მოვლენა რუსეთის ჩრდილოეთ ნაწილში. ვის არ გაუგონია ლენინგრადის (პეტროგრადის) თეთრი ღამეების შესახებ.

რუსეთში ეს სინათლიანი ღამეები გამოწვეულია ეგრედ წოდებული ჩრდილოეთის ბრწყინვალებით (სევერნოე სიანიე). ეს დიდებული სანახაობა და ჩრდილოეთის სილამაზე აქამდე არ იყო გამოკვლეული. ამ ჟამად მეტად საყურადღებო გამოკვლევა მოუხდენია ამ მიმართულებით შვედელ ფიზიკოსს. მისი სწორი და ზედმიწევნით ზუსტი გამოანგარიშება არკვევს, რომ ჩრდილოეთის ბრწყინვალება ხდება ჰორიზონტიდან 100 და 600 კილომეტრის სიმაღლეზე.

ჩრდილოეთის ბრწყინვალების ანდამატიური ბუნება და მისი კავშირი მზის შავ ლაქებთან 11 წლიანი პერიოდების მაქსიმუმთან დიდი ხნიდან არის ცნობილი. შვედელ ფიზიკოსმა მოახდინა ჩრდილოეთის ბრწყინვალების სპექტრის დაშლა და მასში აღმოაჩინა კიდევ ერთი ხაზი. რადგან ეს ახალი ხაზი აღმოჩენილი იქნა ბრწყინვალების ზედა ნაწილში ამიტომ ფიქრობენ, რომ ის გამოწვეულია ახალი ელემენტის-გაზის არსებით, რომელსაც უწოდეს გეოკორონი.

იმასაც ფიქრობენ, რომ ხსენებული გაზი გაცილებით მსუბუქია წყალბადზე გვირგვინის სახით გარს ერტყმის მთელ დედა-მიწას—და შემდეგ ვრცელდება მსოფლიო სივრცის დაუსრულებლობაში. მაგრამ ეს არ გამოდგა მართალი.

ფიზიკოსი ვეგარდი კი ფიქრობს, რომ ბრწყინვალებაზე შემჩნეული ახალ ხაზებს იძლევა ამ უზარმაზარ სიმაღლეზე გაყინული აზოტი. ვეგარდი თავის ცდებს ახდენდა ჰოლანდიელ ფიზიკოსის დაბალ ტემპერატურას გამოჩენილ ლაბორატორიაში. ცდები მეტად ნაყოფიერი შეიქნა, რადგან ხელოვნურად გაყინულ აზოტმა, რომელიც განათებული იქნა გერცევის ტალღებით გამოუშვა იგივე სპექტრის ხაზები, როგორც ჩრდილოეთის ბრწყინვალების ზემო ნაწილში.

რადგანაც გაყინული აზოტის უზარმაზარი ნაწილების მზის სხივებით განათება იძლევა გაზების დიდ მასას, სწორედ ამით უნდათ ახსნან დღე ღამის განმავლობაში ატმოსფერის დაწოლის პერიოდული მერყეობა. ვეგარდის ცდებითვე შესაძლებელი ხდება იმის ახსნა თუ ცას რატომ აქვს ლურჯი ფერი.

**შეიხ.**


## ყოველდღიურ სამხედრო გზეთ

## „კრასნაია ზვეზდა"-ზე

სამხედრო ნაწილები და ორგანიზაციები, რომლებიც გამოიწერენ ერთი მისამართით 28 ც. გაზეთს სამი თვით (ან 15 ც. 6 თვით, 10 ც. თვით) **მიეცემათ უფასო დამატება: მხატვრული კრებული—ალბომი „დიადი საფლავთან"** მიძღვნილი **ვ. ი. ლენინის** ხსოვნისადმი.

**ხელის მოწერა მიიღება ყოველი თვის პირველ რიცხვებში.**



## გაზეთის ფასი:

1 თვით—1 მანეთი, 3 თვით—2 მანეთი 75 კაპ., 6 თვით—5 მან. 25 კაპ., 9 თვით—7 მან. 75 კაპ., ერთი წლით—10 მ.